| <b>ღირებულება</b> |        |                               |                       |             |                      |                             |                                 |        |
| ბალანსი           |        |                               |                       |             |                      |                             |                                 |        |
| 31.12.2020        | 13,810 | 845                           | 14,704                | 36,013      | 658                  | 1,747                       | 1,710                           | 69,487 |
| შეძენა            | -      | 778                           | 287                   | 5,874       | 177                  | 737                         | 1,425                           | 9,277  |
| გასვლა            | -      | -                             | -                     | (371)       | -                    | -                           | -                               | (371)  |
| ბალანსი           |        |                               |                       |             |                      |                             |                                 |        |
| 31.12.2021        | 13,810 | 1,623                         | 14,991                | 41,516      | 835                  | 2,484                       | 3,134                           | 78,393 |
| <b>ცვეთა</b>      |        |                               |                       |             |                      |                             |                                 |        |
| ბალანსი           |        |                               |                       |             |                      |                             |                                 |        |
| 31.12.2020        | -      | -                             | -                     | -           | -                    | -                           | -                               | -      |
| ცვეთა             | -      | -                             | 346                   | 2,895       | 110                  | 244                         | 263                             | 3,858  |
| გასვლა            | -      | -                             | -                     | (52)        | -                    | -                           | -                               | (52)   |
| ბალანსი           |        |                               |                       |             |                      |                             |                                 |        |
| 31.12.2021        | -      | -                             | 346                   | 2,843       | 110                  | 244                         | 263                             | 3,806  |
| ბალანსი           |        |                               |                       |             |                      |                             |                                 |        |
| 31.12.2020        | 13,810 | 845                           | 14,704                | 36,013      | 658                  | 1,747                       | 1,710                           | 69,487 |
| ბალანსი           |        |                               |                       |             |                      |                             |                                 |        |
| 31.12.2021        | 13,810 | 1,623                         | 14,645                | 38,673      | 725                  | 2,240                       | 2,871                           | 74,587 |

## 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები               | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|------------------------------------------|-----------|-----------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 6,002     | 6,012     |
| გადახდილი ავანსები                       | 1,270     | 509       |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ანარიცხებამდე | 7,272     | 6,521     |
| ანარიცხები                               | -         | -         |
| სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები           | 7,272     | 6,521     |

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს ასობით პატარა მაღაზიას, რომლებიც რეგულარულად შეიძენენ კომპანიისგან საქონელს და ფარავენ დავალიანებას ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად. ვადა დამოკიდებულია ხელშეკრულებაში აღნიშნულზე.

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2021 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში '000

#### 7. წინასწარ გაწეული ხარჯები

| წინასწარ გაწეული ხარჯები            | 31-დეკ-2021  | 31-დეკ-2020  |
|-------------------------------------|--------------|--------------|
| წინასწარ გაწეული მარკეტინგული ხარჯი | 620          | 600          |
| სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი         | 1,421        | 1,421        |
| <b>სულ წინასწარ გაწეული ხარჯები</b> | <b>2,041</b> | <b>2,021</b> |

სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება სარეკლამო და სხვა წინასწარ გაწეული მომსახურების ხარჯებისგან.

#### 8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

| სასაქონლო მატერიალური მარაგები            | 31-დეკ-21     | 31-დეკ-20    |
|-------------------------------------------|---------------|--------------|
| ნედლეული და მასალები                      | 6,180         | 5,477        |
| საქონელი                                  | 2,397         | 1,676        |
| მზა პროდუქცია                             | 2,515         | 480          |
| დაუმთავრებელი წარმოება                    | 248           | 350          |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები       | 3             | 3            |
| <b>სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები</b> | <b>11,343</b> | <b>7,986</b> |

მარაგების მთავარი შემადგენელი ნაწილია ნედლეული და მასალები, მარაგები ასევე მოიცავს დაუმთავრებელ წარმოებას, მზა პროდუქციას და საქონელი გზაში. სხვა მარაგები უმეტესად გულისხმობს დანადგარებსა და მცირე მასალებს გამოყენებულს წარმოებაში.

#### 9. ფული და ფულის ექვივალენტები

| ფული და ფულის ექვივალენტები            | 31-დეკ-2021 | 31-დეკ-2020  |
|----------------------------------------|-------------|--------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში            | 123         | 121          |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში        | 114         | 33           |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში         | 752         | 1,657        |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b> | <b>989</b>  | <b>1,810</b> |

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

ფული და ფულის ექვივალენტები არ არის გაუფასურებული და ვადაგადაცილებული.

**10. საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის კაპიტალი შედგება ოთხი ნაწილისგან, საწესდებო კაპიტალი, რომლის ნომინალური ღირებულებაა 39,125 ათასი ლარი, მოგება ბიზნესის შესყიდვიდან, 20,643 ათასი ლარი, აქტივების გადაფასების რეზერვი 7,680 ათასი ლარი და 18,189 ათასი ლარი დაგროვილი ზარალით. 2021 წელს კომპანიამ მიიღო დამატებითი 5,279 ათასი ლარის წმინდა მოგება, რომელიც ნაშთშია წარმოდგენილი, როგორც მიმდინარე პერიოდის მოგების / (ზარალის) განყოფილება. 2021 წლის განმავლობაში აქციონერების მიერ კომპანიის კაპიტალში დამატებითმა შენატანმა შეადგინა 10,016 ათასი ლარი. პერიოდის ბოლოს კომპანიის კაპიტალის წმინდა ღირებულება 54,538 ათასი ლარი იყო.

**11. ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე**

| ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე            | 31-დეკ-2021  | 31-დეკ-2020  |
|-----------------------------------------|--------------|--------------|
| შპს საქართველოს სალიზინგო კომპანია      | 1,066        | 1,667        |
| ს.ს თი ბი სი ლიზინგი                    | 774          | 1,082        |
| <b>სულ ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე</b> | <b>1,841</b> | <b>2,749</b> |

2021 წლის ბოლოსთვის გრძელვადიანი ლიზინგი მოიცავს ოთხ კონტრაქტს: 2-ს სს „თი-ბი-სი ლიზინგთან“, 2-ს კი შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიასთან“.

**12. გრძელვადიანი სესხები**

| გრძელვადიანი სესხები                      | 31-დეკ-2021   | 31-დეკ-2020   |
|-------------------------------------------|---------------|---------------|
| სესხი ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტისგან | 12,138        | 12,564        |
| სესხი აქციონერისგან                       | 6,760         | 8,340         |
| <b>სულ გრძელვადიანი სესხები</b>           | <b>18,898</b> | <b>20,904</b> |

**13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები            | 31-დეკ-2021  | 31-დეკ-2020  |
|------------------------------------------|--------------|--------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                    | 6,723        | 3,930        |
| გადასახდელი ხელფასები                    | 271          | 5            |
| სხვა ვალდებულება                         | 19           | 18           |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> | <b>7,013</b> | <b>3,952</b> |

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის არ არის განსხვავება. ყველა მათგანი არის მიმდინარე და ვადაგადაცილება არ აღირიცხება კომპანიის უსწყისში.

## 14. სხვა მიმდინარე ვალდებულება

| საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარ გადახდილი გადასახადები            | 31-Dec-21     | 31-Dec-20     |
|--------------------------------------------------------------------------|---------------|---------------|
| მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება                                       | (138)         | (9)           |
| სხვა საგადასახადო ვალდებულება                                            | 10,460        | 17,836        |
| <b>სულ საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარ გადახდილი გადასახადები</b> | <b>10,322</b> | <b>17,827</b> |

ცხრილში წინასწარ გადახდილი გადასახადები ნაჩვენებია როგორც უარყოფითი, ხოლო ვალდებულებებში დადებითი რიცხვით. ქართული საგადასახადო სისტემა საშუალებას იძლევა ნებისმიერი საგადასახადო ვალდებულება კომპესირდეს წინასწარ გადახდილი გადასახადით.

სულ დარიცხული დავალიანება 2021 წლის ბოლოსთვის შეადგეს 10,322 ათას ლარს. დაკისრებული დავალიანების დაფარვა ხდება გაფორმებული ხელშეკრულების საუძველზე გრაფიკის მიხედვით.

## 15. მოკლევადიანი სესხები

| მოკლევადიანი სესხები                      | 31-დეკ-21    | 31-დეკ-20    |
|-------------------------------------------|--------------|--------------|
| სესხი ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტისგან | 7,814        | 4,520        |
| სესხი აქციონერისგან                       | 343          | 63           |
| <b>სულ მოკლევადიანი სესხები</b>           | <b>8,157</b> | <b>4,583</b> |

## 16. გადასახდელი პროცენტი

| გადასახდელი პროცენტი                      | 31-დეკ-21  | 31-დეკ-20  |
|-------------------------------------------|------------|------------|
| სესხი ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტისგან | -          | 1          |
| სესხი აქციონერისგან                       | 846        | 278        |
| <b>გადასახდელი პროცენტი</b>               | <b>846</b> | <b>279</b> |

## 17. შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან

| შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან            | 2021          | 2020          |
|----------------------------------------------------------------|---------------|---------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                                       | 46,215        | 33,512        |
| გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა                      | (1,003)       | (722)         |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები                                    | 1,146         | 465           |
| <b>სულ შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან</b> | <b>46,359</b> | <b>33,256</b> |

კომპანიის შემოსავლები დაყოფილია ორ ძირითად ნაწილად, პირველი შემოსავლები გაყიდვებიდან და მეორე არის სხვა საოპერაციო და განსაკუთრებული შემოსავლები.

## 18. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება            | 2021          | 2020          |
|--------------------------------------------------|---------------|---------------|
| ნედლეული და მასალები                             | 16,381        | 10,698        |
| პირდაპირი ხელფასი                                | 995           | 502           |
| არაპირდაპირი ხარჯები                             | 2,954         | 238           |
| <b>სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b> | <b>20,330</b> | <b>11,438</b> |

რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მთავარი ნაწილი არის დანახარჯები ნედლეულსა და მასალებზე. კომპანია ასევე ყიდის მოძველებულ და გამოუყენებელ მარაგებს, რომლის ღირებულებაც ცალკე აღირიცხება.

## 19. გაყიდვის ხარჯები

| გაყიდვების ხარჯები                   | 2021         | 2020         |
|--------------------------------------|--------------|--------------|
| დისტრიბუციის ხელფასები               | 3,598        | 3,409        |
| სარეკლამო დანახარჯი                  | 1,813        | 2,577        |
| სატრანსპორტო დანახარჯი               | 1,453        | 885          |
| ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯი       | 63           | 82           |
| სხვა გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი | 364          | (176)        |
| <b>სულ გაყიდვების ხარჯები</b>        | <b>7,291</b> | <b>6,778</b> |

თვითღირებულების ხარჯების უდიდეს ნაწილს შეადგენს დისტრიბუციის სახელფასო დანახარჯები.

**20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები            | 2021         | 2020         |
|----------------------------------------------|--------------|--------------|
| კომუნალური ხარჯი                             | 154          | 1,408        |
| ადმინისტრაციული ხელფასები                    | 3,423        | 2,190        |
| დაზღვევის ხარჯები                            | 191          | 77           |
| ფიზიკური პირების გაწეული მომსახურების ხარჯი  | 238          | 234          |
| საიჯარო ქირა                                 | 119          | 129          |
| ქონების გადასახადი                           | 534          | 483          |
| საკონსულტაციო ხარჯი                          | 49           | 183          |
| მივლინების ხარჯი                             | 23           | 11           |
| საკომუნიკაციო ხარჯი                          | 51           | 48           |
| საოფისე ინვენტარის ხარჯი                     | 36           | 11           |
| სამეურნეო ხარჯი                              | 379          | 133          |
| ბანკის მომსახურების ხარჯი                    | 92           | 68           |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                      | -            | 38           |
| საგადასახადო ხარჯი                           | 50           | 33           |
| რემონტის ხარჯი                               | 25           | 22           |
| სხვა ხარჯები                                 | 30           | (154)        |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>5,393</b> | <b>4,912</b> |

კომუნალური ხარჯები 2021 წელს აღრიცხულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

**21. ფინანსური ხარჯი**

| ფინანსური ხარჯი            | 2021         | 2020         |
|----------------------------|--------------|--------------|
| საპროცენტო ხარჯი           | 2,785        | 2,184        |
| სხვა ფინანსური ხარჯი       | (5)          | 8            |
| <b>სულ ფინანსური ხარჯი</b> | <b>2,780</b> | <b>2,192</b> |

**22. სხვა არასაოპერაციო ხარჯი**

| სხვა არასაოპერაციო ხარჯი            | 2021         | 2020         |
|-------------------------------------|--------------|--------------|
| მარაგების გაფუჭება                  | 366          | 152          |
| მარაგების კორექტირება               | -            | (2)          |
| არაეკონომიკური ხარჯები              | 1            | 4            |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები          | 1,899        | 970          |
| <b>სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი</b> | <b>2,267</b> | <b>1,123</b> |

სხვა არასაოპერაციო ხარჯები ძირითადად მოიცავს გაფუჭების ხარჯებსა და სხვა არასაოპერაციო ხარჯებს. ჯამური არასაოპერაციო ხარჯები 2020 წელს შეადგენდა 1,123 ათას ლარს, 2021 წლისთვის კი 2,267 ათას ლარს.

## 23. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

### საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

## 24. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

### საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

## სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| 2021                               | რუბლი        | აშშ<br>დოლარი  | ევრო            | ლარი           | სულ             |
|------------------------------------|--------------|----------------|-----------------|----------------|-----------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |              |                |                 |                |                 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | -            | -              | -               | 7,272          | 7,272           |
| ფული და ფულის ექვივალენტები        | -            | 13             | 739             | 237            | 989             |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>-</b>     | <b>13</b>      | <b>739</b>      | <b>7,509</b>   | <b>8,261</b>    |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |              |                |                 |                |                 |
| ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე       | -            | -              | -               | 1,841          | 1,841           |
| გრძელვადიანი სესხები               | -            | -              | 18,898          | -              | 18,898          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 236          | 966            | 3,324           | 2,487          | 7,013           |
| გადასახდელი პროცენტი               | -            | 25             | 813             | 7              | 846             |
| მოკლევადიანი სესხები               | -            | 56             | 2,101           | 6,000          | 8,157           |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>236</b>   | <b>1,047</b>   | <b>25,137</b>   | <b>10,335</b>  | <b>36,755</b>   |
| <b>წმინდა პოზიცია</b>              | <b>(236)</b> | <b>(1,033)</b> | <b>(24,398)</b> | <b>(2,826)</b> | <b>(28,494)</b> |
| 2020                               | რუბლი        | აშშ<br>დოლარი  | ევრო            | ლარი           | სულ             |
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |              |                |                 |                |                 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | -            | -              | -               | 6,521          | 6,521           |
| ფული და ფულის ექვივალენტები        | -            | -              | 1,657           | 154            | 1,810           |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>-</b>     | <b>-</b>       | <b>1,657</b>    | <b>6,675</b>   | <b>8,332</b>    |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |              |                |                 |                |                 |
| ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე       | -            | -              | -               | 2,749          | 2,749           |
| გრძელვადიანი სესხები               | -            | -              | 20,904          | -              | 20,904          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 3            | 540            | 2,644           | 766            | 3,952           |
| გადასახდელი პროცენტი               | -            | 22             | 248             | 9              | 279             |
| მოკლევადიანი სესხები               | -            | 60             | 1,524           | 2,999          | 4,583           |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>3</b>     | <b>622</b>     | <b>25,320</b>   | <b>6,523</b>   | <b>32,467</b>   |
| <b>წმინდა პოზიცია</b>              | <b>(3)</b>   | <b>(622)</b>   | <b>(23,663)</b> | <b>152</b>     | <b>(24,136)</b> |

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

| 2021                               | 1 წლამდე        | 1-5<br>წლამდე         | 5 წელზე<br>მეტი         | სულ             |
|------------------------------------|-----------------|-----------------------|-------------------------|-----------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |                 |                       |                         |                 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | 7,272           | -                     | -                       | 7,272           |
| ფული და ფულის ექვივალენტები        | 989             | -                     | -                       | 989             |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>8,261</b>    | -                     | -                       | <b>8,261</b>    |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                 |                       |                         |                 |
| ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე       | 1,025           | 816                   | -                       | 1,841           |
| გრძელვადიანი სესხები               | -               | 15,426                | 3,472                   | 18,898          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 4,909           | 1,403                 | 701                     | 7,013           |
| გადასახდელი პროცენტი               | 846             | -                     | -                       | 846             |
| მოკლევადიანი სესხები               | 8,157           | -                     | -                       | 8,157           |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>14,937</b>   | <b>17,645</b>         | <b>4,173</b>            | <b>36,755</b>   |
| <b>წმინდა პოზიცია</b>              | <b>(6,676)</b>  | <b>(17,645)</b>       | <b>(4,173)</b>          | <b>(28,494)</b> |
| <b>2020</b>                        | <b>1 წლამდე</b> | <b>1-5<br/>წლამდე</b> | <b>5 წელზე<br/>მეტი</b> | <b>სულ</b>      |
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |                 |                       |                         |                 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | 6,521           | -                     | -                       | 6,521           |
| ფული და ფულის ექვივალენტები        | 1,810           | -                     | -                       | 1,810           |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>8,331</b>    | -                     | -                       | <b>8,331</b>    |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                 |                       |                         |                 |
| ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე       | 908             | 1,841                 | -                       | 2,749           |
| გრძელვადიანი სესხები               | -               | 15,617                | 5,287                   | 20,904          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 2,767           | 790                   | 395                     | 3,952           |

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2021 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში '000

|                                    |              |                 |                |                 |
|------------------------------------|--------------|-----------------|----------------|-----------------|
| გადასახდელი პროცენტი               | 279          | -               | -              | 279             |
| მოკლევადიანი სესხები               | 4,583        | -               | -              | 4,583           |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>8,537</b> | <b>18,248</b>   | <b>5,682</b>   | <b>32,467</b>   |
| <b>წმინდა პოზიცია</b>              | <b>(207)</b> | <b>(18,248)</b> | <b>(5,682)</b> | <b>(24,137)</b> |

## კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

## 25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

|                               | 31-დეკ-2021             |                           | 31-დეკ-2020             |                           |
|-------------------------------|-------------------------|---------------------------|-------------------------|---------------------------|
|                               | საბალანსო<br>ღირებულება | სამართლიანი<br>ღირებულება | საბალანსო<br>ღირებულება | სამართლიანი<br>ღირებულება |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები    | 7,272                   | 7,272                     | 6,521                   | 6,521                     |
| ფული და ფულის ექვივალენტები   | 989                     | 989                       | 1,810                   | 1,810                     |
| ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე  | 1,841                   | 1,841                     | 2,749                   | 2,749                     |
| გრძელვადიანი სესხები          | 18,898                  | 18,898                    | 20,904                  | 20,904                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 7,013                   | 7,013                     | 3,952                   | 3,952                     |
| გადასახდელი პროცენტი          | 846                     | 846                       | 279                     | 279                       |
| მოკლევადიანი სესხები          | 8,157                   | 8,157                     | 4,583                   | 4,583                     |

## 26. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც

აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

| დაკავშირებული მხარის დასახელება | ოპერაციის შინაარსი         | ღირებულება 2021 | ღირებულება 2021 |
|---------------------------------|----------------------------|-----------------|-----------------|
| სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია     | სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 16              | 42              |
| სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია     | სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 262             | -               |
| აქციონერისგან მიღებული სესხი    | მიღებული სესხი             | 285             | 7,002           |

დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები:

|                         | 2021         | 2020         |
|-------------------------|--------------|--------------|
| მენეჯმენტის ანაზღაურება | 1,515        | 1,255        |
| <b>სულ</b>              | <b>1,515</b> | <b>1,255</b> |

## 27. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

საანგარიშო პერიოდებში კომპანიას აქვს დადებითი EBITDA, ისევე როგორც წმინდა მოგება, კომპანია გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით და დაგროვილი ზარალის ოდენობა მცირდება. უფრო მეტიც, კომპანიის გაყიდვები იზრდება და მას აქვს საკმაოდ კარგი ბიზნესის პერსპექტივები.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

## 28. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 15 მარტს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა. კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა Covid 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვებით, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

ხელმოწერი პირი:

---

დირექტორი

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2021 წლის 31 დეკემბერი  
თანხები მოცემულია ლარში '000

საანგარიშო პერიოდებში კომპანიას აქვს დადებითი EBITDA, ისევე როგორც წმინდა მოგება, კომპანია გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით და დაგროვილი ზარალის ოდენობა მცირდება. უფრო მეტიც, კომპანიის გაყიდვები იზრდება და მას აქვს საკმაოდ კარგი ბიზნესის პერსპექტივები.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

## 28. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 15 მარტს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა. კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა Covid 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვებით, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

3.2023

